ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №07/116

ქ. თბილისი 24.07.2012 წ.

1. ერთი მხრივ, **შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“** ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის **საბა ჯიშიაშვილის** სახით და, მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“** ს/კ 204861970 (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **სერგო რატიანის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობ-პროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის დიზელი (PPM-50-ზე ნაკლები) ნასყიდობა.

3. <u>ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება:</u> ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **12520,90** (თორმეტი ათას ხუთას ოცი ლარი და 90 თეთრი) ლარს.

4. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის დიზელს (PPM-50-ზე ნაკლები) **5770** ლიტრს.

5. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის დიზელი (PPM-50 და მეტი) ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 4 (ოთხი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.ყველა დანარჩენ საწვავზე კი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 5 (ხუთი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.

6. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინსწრებით. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 დღის ვადაში.

7. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

8. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

9. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

10. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5 საიდენტიფიკაციო კოდი - 204861970 სს „ბაზისბანკი“ ბანკის კოდი: 220101956 ანგარიშის ნომერი: GE76BS0000000000134789	შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის №154 საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის №GE62BG0000000876831000
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
სერგო რატიანი	საბა ჯიშიაშვილი